სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

16 / ოქტომბერი / 2024 წ.

KA080184719646824

№ **2798**

განკარგულება

ი.მ. ია შეყელაშვილის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“;

ტენდერის ნომერი: NAT230012244;

შესყიდვის ობიექტი: 90900000 – დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება;

მიმწოდებელი: ი.მ. ია შეყელაშვილი (პირადი №57001008273);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 19 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2024 წლის 19 სექტემბრის №01/5543 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 7783), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. ია შეყელაშვილის (პირადი № 57001008273) მიერ NAT230012244 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 20 მარტის № 0300/30/079 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის Iako.shekelashvili@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 20 სექტემბრის №2702 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა 2024 წლის 20 მარტის № 0300/30/079 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 20 მარტს, NAT230012244 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ი.მ. ია შეყელაშვილს (პირადი №57001008273) შორის დაიდო №0300/30/079 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 12 თვის ვადაში უნდა გაეწია მეტროს სადგურებისა და ვაგონების დასუფთავების მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 867 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 24 მაისი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 23 აპრილის № 01/2430 წერილის მიხედვით, ყოველდღიური დასუფთავების სამუშაოების შესასრულებლად ელ. დეპო გლდანში ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით განსაზღვრული იყო არანაკლებ 6 ადამიანი, ხოლო ელ. დეპო ნაძალადევში – არანაკლებ 4 ადამიანი, თუმცა რიგ შემთხვევაში დილის საათებში საჭირო რაოდენობის თანამშრომელი იწყებდა დასუფთავების სამუშაოებს და დღის სხვადასხვა მონაკვეთში მცირდებოდა მათი რაოდენობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურების გაწევას დილიდანვე იწყებდა არასაკმარისი რაოდენობის თანამშრომელი. ამასთან, ვაგონების გენერალური დასუფთავება შაბათ-კვირას ნაცვლად 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, სრულდებოდა 07:00 საათიდან 16:00 საათამდე რა დროსაც ადგილზე არ იმყოფებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი და არ ცხადდებოდა/არ აკონტროლებდა მიმწოდებელი კომპანიის წარმომადგენელი. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში არ ხდებოდა ვაგონებში ზედაპირების, სალონების, მინების წმენდა, იატაკის დაგვა-დასუფთავება და დასუფთავების შემდეგ ვაგონებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. გარდა ამისა, გენერალური დასუფთავების ფარგლებში მტვერსასრუტების გაუმართაობის გამო, არ სუფთავდებოდა სავარძლების ქვედა მონაკვეთები და ვაგონის ყველა ნაკვეთური, ვაგონის სამგზავრო სალონის იატაკი არ ირეცხებოდა ლინოლიუმის ზედაპირისთვის განკუთვნილი იატაკის საწმენდით. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა გონივრულ ვადაში ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 17 სექტემბრის №01/5496 წერილის მიხედვით, გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ, ორივე ლოკაციაზე ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი ყოველდღიური და გენერალური დასუფთავების ფარგლებში არაჯეროვნად სრულდებოდა სხვადასხვა ზედაპირებიდან მტვრის მოშორება, ვაგონების საქარე მინების, სარკეების, შუბლა ნაწილების, კაბინის გვერდით კარის მინების გაწმენდა სველი წესით, მინებსა და პრიალა ზედაპირებზე ხილული ლაქების გაწმენდა, ხოლო ვაგონებს შორის გადაბმის ადგილზე მოხვედრილი ძარის გარე ზედაპირებისა და მინების დასუფთავება, სავარძლების, სალონის კარების და ფანჯრის მინების, სახელურების, თასმების სველი წესით გაწმენდა, ვაგონის სალონის იატაკის ლინოლიუმის ზედაპირისთვის განკუთვნილი მოსარეცხი იატაკის საწმენდი მოწყობილობით გაწმენდა არ ხორციელდებოდა. გარდა ამისა, თითოეულ ლოკაციაზე განთავსებული იყო დაზიანებული სარეცხი მანქანა. ამასთან, მომსახურების გაწევის ადგილას არ ცხადდებოდა მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო გაწეული მომსახურების კონტროლზე. ამავე წერილით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შეწყდა ხელშეკრულება.

4.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახული ფაქტობრივი გადახდებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გაწია 215 206 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 25%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. ია შეყელაშვილს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 20 მარტის № 0300/30/079 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, ი.მ. ია შეყელაშვილის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. ია შეყელაშვილს (პირადი №57001008273) 2024 წლის 17 ოქტომბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე